



საქართველო  
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის  
მერია



2800

ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37

Lanchkhuti@yahoo.com

N 4898

16/10/2019

4898-09-2-201910161407



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი-ს“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებისა და 108-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს და აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით განმარტებით ბარათს.

1. პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი

მოგესხენებათ რომ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს მომართა სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ გიორგი დუგლამემ 2019 წლის 10 ოქტომბრის N5/60005 წერილით - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ჩოლობარგში მდებარე 1444 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N27.04.51.275) სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ, შემდგომში აღნიშნული ქონების სსიპ „იუსტიციის სახლისთვის“ გადაცემის მიზნით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 108-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება - სახელმწიფოს გადასცეს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება, გარდა მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისათვის საჭირო ძირითადი (განუსხვისებელი) ქონებისა. მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის განმარტებით, კი სახელმწიფოს მიერ მოთხოვნილი გადასაცემი უძრავი ქონება სწორედ ძირითადი (განუსხვისებელი) კატეგორიის მქონე უძრავ ქონებას (ს/კ 27.04.51.275), წარმოადგენს, სადაც სამსახურის დაზუსტებით, იქ დღეის მდგომარეობით ნიგოიტის საზოგადოებრივი ცენტრი ფუნქციონირებს.

გთხოვთ წარმოადგენილი პროექტი განიხილოთ უმოკლეს პერიოდში, საკრებულოს მომდევნო სხდომაზე და მიიღოთ დასაბუთებული გადაწყვეტილება, ვინაიდან საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 108-ე მუხლის მე-2 ნაწილის ნაწილის შესაბამისად, თუ საკრებულომ სახელმწიფოს მიერ მოთხოვნის წარმოდგენიდან 45 დღის განმავლობაში არ მიიღო

გადაწყვეტილება, მაშინ მოთხოვნილი ქონება სახელმწიფოსათვის გადაცემულ ქონებად ჩაითვლება და სახელმწიფო ქონებად დარეგისტრირდება.

## 2. პროექტის ფინანსური დასაბუთება

- ა) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.
- ბ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

## 3. პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი

პროექტი მომზადებულია მერიის იურიდიული სამსახურის მიერ. პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის ვახტანგ შალიკაშვილის კანდიდატურას. პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

## 4. პროექტის წარმდგენი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი.

ალექსანდრე სარიშვილი

მუნიციპალიტეტის მერი  
ხელმძღვანელობა

ა. სარიშვილი



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის  
ეკონომიკისა და ქონების მართვის  
სამსახური

2800

ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37

Lanchkhuti@yahoo.com

N 1981  
15/10/2019

1981-09-3-201910151514



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს,

ბატონ ალექსანდრე სარიშვილს

ეკონომიკისა და ქონების მართვის

სამსახურის უფროსის მოვალეობის

შემსრულებლის ვახტანგ შალიკაშვილის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ალექსანდრე,

ჩვენს სამსახურს დაეწერა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის, გიორგი დუგლადის 2019 წლის 10 ოქტომბრის N5 /6005 წერილი, რომელიც ეხება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ჩოლობარგში 1444 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის(უძრავი ქონების) ს/კ 27.04.51.275) სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის საკითხს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გაცნობებთ, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ძირითადი (განუსხვისებელი) კატეგორიის მქონე უძრავ ქონებაზე (ს/კ 27.04.51.275) ,დღეის მდგომარეობით განთავსებულია ნიგოითის საზოგადოებრივი ცენტრი.

ვინაიდან აღნიშნული უძრავი ქონება სრულად ემსახურება საზოგადოებრივი ცენტრის საქმიანობის მიზნებს, ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მოსაზრებაა მოხდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების (მიწის ნაკვეთი და მასზედ განთავსებული შენობა -ნაგებობა ს/კ 27.04.51.275) სახელმწიფოს სასარგებლოდ მიტოვება.

გთხოვთ,დაავალოთ შესაბამის სამსახურს სათანადო პროექტის მომზადება.

დანართი: 2(ორი )ფურცელი.

პატივისცემით,

ვახტანგ შალიკაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი  
ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2019 წლის ოქტომბერი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფო  
საკუთრებაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი-ს“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებისა და 108-ე მუხლის შესაბამისად,

**მუხლი 1.** დაკმაყოფილდეს სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის, გიორგი დუგლაძის, 2019 წლის 10 ოქტომბრის N5/60005 მომართვა - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ჩოლობარგში მდებარე 1444 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N27.04.51.275) სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ, შემდგომში აღნიშნული ქონების სსიპ „იუსტიციის სახლისთვის“ გადაცემის მიზნით.

**მუხლი 2.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

**მუხლი 3.** განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ბესიკ ტაბიძე



KA021736033881819

სახელმწიფო ქონების  
ეროვნული სააგენტო



NATIONAL AGENCY  
OF STATE PROPERTY

თბილისი 0179, ი.ჭავჭავაძის გამზ.49ა  
ტელ: (+995 32) 2 98 11 11  
info@nasp.gov.ge

49a I.Chavchavadze avenue, 0179 Tbilisi, Georgia  
Tel: (+995 32) 2 98 11 11  
info@nasp.gov.ge

N5/60005

10 / ოქტომბერი / 2019 წ.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ასლი: სსიპ - იუსტიციის სახლს

გაცნობებთ, რომ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში შემოსულია სსიპ - იუსტიციის სახლის 03.10.2019წ. N2315 წერილი, რომელიც ეხება, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ჩოლობარგში მდებარე 1444კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N27.04.51.275) სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის საკითხს. გიგზავნით, გემოხსენებულ წერილს.

გთხოვთ, განიხილოთ გემოაღნიშნული უძრავი ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადმოცემის საკითხი, შემდგომში სსიპ - იუსტიციის სახლისთვის გადაცემის მიზნით.

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული  
სააგენტოს თავმჯდომარე

ხელმოწერა/   
შტამპდასმულია  
ელემენტარულად

გიორგი დუგლაძე



KA015519013773819



საქართველო, თბილისი, ტელ.: +995 32 2 405 405  
0114; საბაპიროს ქ. № 2 info@psh.gov.ge  
www.psh.gov.ge

№ 2315

03 / ოქტომბერი / 2019 წ.

სსიპ „სახელმწიფო ქონების  
ეროვნული სააგენტოს“  
თავმჯდომარეს  
ბატონ გიორგი დუგლაძეს

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ სსიპ „იუსტიციის სახლსა“ და სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ შორის მიმდინარეობს აქტიური პროცესი საზოგადოებრივი ცენტრების იუსტიციის სახლისთვის გადმოცემის თაობაზე. შემდგომი სამართლებრივი პროცედურის სრულყოფილად წარმართვის კუთხით მნიშვნელოვანია, რომ უძრავი ქონება, რომელზეც განთავსებულია საზოგადოებრივი ცენტრი, დარეგისტრირდეს სახელმწიფო საკუთრებაში.

გემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გაცნობებთ, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ძირითადი (განუსხვისებელი) კატეგორიის მქონე უძრავ ქონებაზე (ს/კ 27.04.51.275), დღეის მდგომარეობით განთავსებულია ნიგოეთის საზოგადოებრივი ცენტრი.

ვინაიდან, აღნიშნული უძრავი ქონება სრულად ემსახურება საზოგადოებრივი ცენტრის საქმიანობის მიზნებს და აღარ გამოიყენება მუნიციპალიტეტის საჯარო ფუნქციების შესასრულებლად, გთხოვთ, გვიშუამდგომლოთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან და მერთან, რათა „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 121-ე მუხლით დადგენილ წესის საფუძველზე, განხორციელდეს მათ საკუთრებაში არსებულ ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების (მიწის ნაკვეთი და მასზედ განთავსებული შენობა-ნაგებობა) გასხვისება სახელმწიფოს სასარგებლოდ.

გემოაღნიშნული ქონების სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრაციის შემდგომ, გთხოვთ, 2019 წლის 31 დეკემბრიდან, უძრავი ქონება გადმოსცეთ სსიპ „იუსტიციის სახლს“ სარგებლობაში (უსასყიდლოდ, უვადოდ).

პატივისცემით,

სსიპ იუსტიციის სახლის აღმასრულებელი  
დირექტორი

ხელმოწერილია/  
შტამმდამსულია  
ელემენტრონულად



სოსო გიორგაძე